პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

30 ივნისი შაბათი 1973

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 152 (15669)

დიდი შრომითი გამარჯვება

სერგო ორჯონიკიძის სახელობის ლენინის ორდენოსანი და ოქტომბრის რევოლუციის ორდენოსანი მეტალურგიული ქარხნის „ზაპოროჟსტალის“ მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს, პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს

ძვირფასო ამხანაგებო!

სკკპ ცენტრალური კომიტეტი მხურვალედ გილოცავთ **დიდ შრომითს გამარჯვებას** — სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებას და შრომის ნაყოფიერების, ფოლადის გამოდნობისა და ნაგლინის წარმოების იმ დონის მიღწევას, რომელიც ხუთწლიანი გეგმით 1975 წლისათვის იყო დასახული.

მიმდინარე წლის 5 თვეში ქარხნის კოლექტივმა გეგმის გადამეტებით გამოადნო 28.400 ტონა თუჯი, 15.400 ტონა ფოლადი, წარმოებულია 23.400 ტონა ნაგლინი, მიღწეულია მუშაობის მაღალი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები.

ეს შესანიშნავი წარმატებანი ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების საფუძველზე თქვენი პატრიოტული შრომის, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების დიდი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის, კოლექტივის მაღალი შეგნებისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა პრაქტიკული განხორციელებისათვის პასუხისმგებლობის გამოჩენის შედეგია.

საეჭვოსმოა, რომ თქვენ მოდამ უთმობთ მთავარ ყურადღებას შემოქმედებითს ძიებას, ახალი ტექნიკისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვას, საწარმოო სიმძლავრეთა განუწყვეტელ ზრდას მოწყობილობის რეკონსტრუქციისა და მოდერნიზაციის დიდი პროგრამის განხორციელების, პროდუქციის ხარისხისა და სორტამენტის — წარმოების ეფექტიანობის ამაღლების ამ მთავარ მიმართულებათა — გაუმჯობესებისა და გაფართოების გზით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ქარხნის კოლექტივმა, რომელიც არ სჭერდება მიღწეულს, იკისრა ახალი გადიდებული ვალდებულებანი — წლის მეორე ნახევრის გეგმის დამატებით აწარმოოს 15 ათასი ტონა თუჯი, 10 ათასი ტონა ფოლადი და 12 ათასი ტონა ნაგლინი.

გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, ახალ შრომითს წარმატებებს ამ მაღალი ვალდებულებების, ხუთწლიანი გეგმის ყველა დავალების ვადამდე შესრულებაში ჩვენი სოციალისტური სამშობლოს კეთილდღეობისა და აყვავებისათვის.

ლ. ბრეჟნევი,

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ამხანაგ ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევს

შრომითი პაკაკი

მოხარული ვართ მოვახსენოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, მოვახსენოთ თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ, რომ სერგო ორჯონიკიძის სახელობის ლენინის ორდენოსანი და ოქტომბრის რევოლუციის ორდენოსანი მეტალურგიული ქარხნის „ზაპოროჟსტალის“ კოლექტივმა, რომელიც იბრძვის ხუთწლიდის მესამე, გადამწყვეტი წლის სახალხო-სამეურნეო ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის, ვადამდე შეასრულა 1973 წლისათვის ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი. ფოლადის, ნაგლინის წარმოების მოცულობით, შრომის ნაყოფიერების ზრდით ქარხნის კოლექტივმა 1973 წელს მიაღწია 1975 წლის საკონტროლო ციფრების დონეს.

ქარხნის მეტალურგებმა, რომლებმაც ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება, ნერგავენ ახალ ტექნიკასა და მოწინავე ტექნოლოგიას, გეგმის გადამეტებით გამოადნეს 28,4 ათასი ტონა თუჯი, 15.4 ათასი ტონა ფოლადი, აწარმოეს 23.4 ათასი ტონა ნაგლინი. წარმოების მატებამ გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით შეადგინა 7,1 პროცენტი, ამასთან მთელი მატება მიღწეულია მხოლოდ შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით.

ხუთ თვეში გეგმის გადამეტებით რეალიზებულია 5,6 მილიონი მანეთის პროდუქცია, მიღებულია დაახლოებით 2 მილიონი მანეთი მოგება. ერთი მანეთის სასაქონლო პროდუქციაზე ხარჯებმა 72,6 კაპიკი შეადგინა. ამავე ხნის მანძილზე დაზოგულია თუჯის გამოსადნობი რკინამადნეული ნედლეული — 10 ათას ტონაზე მეტი, კოქსი — დაახლოებით 20 ათასი ტონა, საგლინავი ლითონი — დაახლოებით 15 ათასი ტონა, ელექტროენერგია — დაახლოებით 5 მილიონი კილოვატ-საათი.

ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებანი ვადამდე შეასრულეს იმის შედეგად, რომ სრულყოფილი ბრძმედი წარმოების ტექნოლოგია, გავაუმჯობესეთ აკოომერატის ხარისხი, დაენერგეთ უფრო სრულყოფილი კონსტრუქციის საქშენები, 13 პროცენტით შევამცირეთ ბრძმედების მოცდენა, უმოკლეს ვადებში ავითვისეთ ახალი ორაბაზნიანი ფოლადსადნობი აგრეგატი და სლაბინგის რეკონსტრუირებული დგანი, აგამაღლეთ საგლინავი დგანების საათობრივი მწარმოებლობა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის აპრილის პლენუმის გადაწყვეტილების პასუხად „ზაპოროჟსტალის“ კოლექტივი, რომელმაც დაიანგარიშა თავისი რეზერვები, წლის დამლევამდე გეგმის გადამეტებით გამოადნობს 15 ათას ტონა თუჯს, 10 ათას ტონა ფოლადს, დამამზადებს 12,5 ათას ტონა ნაგლინს.

აღვუთქვამთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ „ზაპოროჟსტალის“ მეტალურგები ძალ-ღონეს არ დაიშურებენ, რათა წარმატებით შეასრულონ ხუთწლიდის მეხამე, გადამწყვეტი წლისა და მთლიანად ხუთწლიანი გეგმის დავალებანი.

სერგო ორჯონიკიძის სახელობის მეტალურგიული ქარხნის „ზაპოროჟსტალის“ დირექტორი
ლ. იუპკო

ხაქარხნო პროფკავშირის თავმჯდომარე
ე. ბალკო

პარტკომის მდივანი
ა. გერასიმენკო

კომკავშირის კომიტეტის მდივანი
ა. კუროჩკინი

ხუთწლედი—ვადამდე

უმაღლესი სიზუსტის მაღალხარისხოვანი ჩარხების გამოშვებით სახელი გაითქვა თბილისის სახეხი ჩარხების ქარხნის კოლექტივმა. აქ დამზადებული მაღალი სიზუსტის მრგვლადსახეხი ჩარხები ჩვენი ქვეყნის ბევრი მისამართით და საზღვარგარეთ იგზავნება. ჩარხმშენებლები კარგად ართმევენ თავს სახელმწიფო გეგმებს და ნაკისრ ვალდებულებებს. წლის განვლილ ხუთ თვეში მომხმარებელს გაეგზავნა 1.464 ათასი მანეთის პროდუქცია, აქედან 43 ათასი მანეთი ზეგეგმითია.

სურათზე: გასაგზავნად მზად არის უმაღლესი სიზუსტის მრგვლადსახეხი ჩარხების მორიგი პარტია. საამყოფო საამქროს უფროსი ოსტატი ვ. ცალხელიშვილი, ამწყობი ზეინკლები ე. კენჭუაშვილი და ვ. მეკოკიშვილი კიდევ ერთხელ ამოწმებენ ახალი ჩარხის სიზუსტეს.

ხ. კილაძის ფოტო.

120.000 ტონა მარცვლისათვის

სწრაფად, უდანაკარგოდ!



„კომუნისტის“ ვიმპელები — კომბაინებზე!

არც ერთი თავთავი ნაწვერალზე, არც ერთი მარცვალი ნამჯაში!

უკრაინელ მექანიზატორთა მაგალითით

წითელწყაროში. რაიონში „კომუნისტის“ ვიმპელი პირველად ზემო ქედის კოლმეურნეობის კომბაინერმა **რევაზ ჩიტაურმა** მიიღო, რომელიც ეჯიბრება თავის თანასოფელელ სულიკო სუნტიძეს. მან მოსავალი აიღო 12 ჰექტარზე და გალეწა 360 ცენტნერი მარცვალი. დღეს „კომუნისტის“ ვიმპელი მას გადაეცა.

სიღნაღი. გუშინ ბოდბისხეველმა **ზურაბ მეჭურჭლიშვილმა,** რომელიც ტიბაანელ გივი ლათიბაშვილს ეჯიბრება, უამინდობის მიუხედავად პურეული 11 ჰექტარზე აიღო და გალეწა 350 ცენტნერი მარცვალი. „კომუნისტის“ ვიმპელი კვლავ მის კომბაინზეა.

თელავი. რაიონში „კომუნისტის“ ვიმპელის პირველი მფლობელი გახდა ყარაჯალის მეურნეობის კომბაინერი **მუსრადინ სოფიევი,** რომელმაც პურეული ერთ დღეს აიღო 17 ჰექტარზე და გალეწა 230,5 ცენტნერი მარცვალი. იგი სოცშეჯიბრებაში ჩაბმულია თანასოფელელ ზალიკო ასანოლისთან.

დღეს და ხვალ კარტოფილის ნათესების დათვალიერება

☐ დათვალიერების მიზანია შემოწმდეს, თუ როგორ მდგომარეობაშია კარტოფილის ნათესები, როგორ უვლიან ნიადაგსა და მცენარეებს, როგორ ასრულებენ მითითებებს, რომლებიც ჩამოყალიბებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში 1973 წელს მარცვლეულისა და მიწათმოქმედების სხვა პროდუქტების წარმოებისა და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროებისა და იეკავშირის საწარმოებზე. ესენი არიან, კერძოდ, ოინალისის, სამკერვალო ფაბრიკა „ამირანი“, 1 მაისის სასელობისა და ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკები, ქუთაისის სამკერვალო „გერრეთიანება“ და ზოგიერთი სხვა საწარმო.

დამაკმაყოფილებელი არ არის არც კვლის პროდუქტების ხარისხის საქმე.

შარშან საწარმოთა უმრავლესობას არ შეესრულებია ახალ სახეობათა ნაწარმის ათვისების დავალებანი. რესპუბლიკაში დავალებით გათვალისწინებული 540 დასახელების ახალი ნაწარმის ნაცვლად მთლიანად ათვისებულია მხოლოდ 184 და საწარმოებრივ, მოდერნიზაციის ეზით — 126. მდგომარეობა არე მიმდინარე წლის პირველ კვარტალში გამოსწორებულა.

ეარიდად არის ახალი ნაწარმის მასობრივი გამოშვების საქმე. მაგალითად, რესპუბლიკაში ქსოვილების ნახლების საშუალო ფლიური მოცულობა არ აღემატება 4-5 პროცენტს. მაშინ როდესაც მთლიანად ჩვენს ქვეყანაში 10-11 პროცენტს შეადგენს.

მომხსენებელმა და თანამონაწილეებმა თქვეს, რომ რესპუბლიკაში ცალკეული მეტად თავისებური და ფრიად სასარგებლო შესავალი იყო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციისათვის, რომელზეც აღიძრა ჩვენი საწარმოების პროდუქციის ხარისხის ამაღლების დიდმნიშვნელოვანი პრობლემები, დასახა მათი გადაწყვეტის გზები.

სკკპ XXIV ყრილობაზე დასახული ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის მნიშვნელოვანი ამაღლების კომპლექსური პროგრამის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია სამრეწველო პროდუქციის, მათ შორის მასობრივი მოთხოვნის საქონლის წარმოების განუწყვეტელ და მნიშვნელოვან ზრდასთან ერთად, მისი ხარისხის გაუმჯობესება და ასორტიმენტის გაფართოება.

უკანასკნელ ხანს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და რესპუბლიკის მთავრობა ასორციელებენ ღონისძიებებს, რათა საწარმოთა პარტიულმა კომიტეტებმა და პირველადმა პარტორგანიზაციებმა გააძლიერონ პარტიელ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. ამ მუშაობას უკვე მოჰყვა გარკვეული შედეგები. მაგრამ, როგორც კონფერენციის მონაწილეებმა აღნიშნეს, მთელი რიგ საწარმოებში, სადაც პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების ყველა პირობა არის, მათ ან ცუდად იყენებენ, ან საერთოდ არ იყენებენ. მთავარი მიზეზი ის არის, რომ საწარმოთა ხელმძღვანელები, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები ჯერ კიდევ პრინციპულობით არ აყენებენ ხარისხის საკითხებს კოლექტივების წინაშე, არ რაზმავენ მათ ხარისხისათვის საბრძოლველად, და მთელი მათი მეცადინეობა იმით ამოწურება, რომ მიმართავენ ადმინისტრირებას ამა თუ იმ ღონისძიების განხორციელებისას, მთავარ ყურადღებას აქცევენ წარმოების ეკონომიის რაოდენობრივ შესრულებას.

ჩვენი პროდუქციის ჯერ ისევ დაბალი ხარისხის პირდაპირი მიზეზებია ისიც, რომ საწარმოთა, სამინისტროთა და უწყებათა ზოგიერთი ხელმძღვანელი არ იჩენს პირად პასუხისმგებლობას, ცუდია ხარისხის გაუმჯობესებისათვის მუშაობის ორგანიზაცია, სუსტია სახელმწიფო, საწარმოო დისციპლინა, უხეშად არღვევენ ტექნოლოგიურ პროცესებს, იყენებენ მძიმელებულ ტექნოლოგიურ მოწყობილობას, ფეხზდება ხოლმე მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება.

კონფერენციის მონაწილეებმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხს. დაწუნებული პროდუქციის უმეტესი რაოდენობა მოდის რესპუბლიკის მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროებისა და იეკავშირის საწარმოებზე. ესენი არიან, კერძოდ, ოინალისის სამკერვალო ფაბრიკა „ამირანი“, 1 მაისის სასელობისა და ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკები, ქუთაისის სამკერვალო „გერრეთიანება“ და ზოგიერთი სხვა საწარმო.

ეარიდად ეარ ეარ ეარ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

დადგენილება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსი

მშრომელთა დეპუტატების საბჭოების და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ სოციალისტური კანონიერების უზრუნველყოფის საქმეში

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო, რომელმაც მოისმინა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხ. გ. ჯავახიშვილის მოხსენება მშრომელთა დეპუტატების საბჭოების და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ სოციალისტური კანონიერების უზრუნველყოფის საქმეში, აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის მშრომელები, რომლებიც შეიარაღებული არიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV კრების და ცენტრალური კომიტეტის შემდგომი პლენუმების გადაწყვეტილებებით, მთელს საბჭოთა ხალხთან ერთად წარმატებით ახორციელებენ მეცხრე ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის სახალხო-სამეურნეო გეგმებს. ფართოდ გაშლილი საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება სამეურნეო გეგმებისა და ნაკისრ ვალდებულებათა ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის. სამრეწველო პროდუქციის წარმოების 5 თვის გეგმა განაღდებულია 100,9 პროცენტით. წარმოების ზრდის საშუალო საღდღიმასო ტემპი 1972 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 107 პროცენტს შეადგენს.

სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში წარმატებათა მიღწევას დიდად შეუწყო ხელი ამ ბოლო დროს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით გაშლილმა მუშაობამ დეპარტიის პრინციპების შემდგომი გაღრმავების, სოციალისტური კანონიერების, სოციალისტური თანაცხოვრების ნორმებისა და საზოგადოებრივი წესრიგის განუხრელი დაცვისათვის.

სოციალისტური დემოკრატიის პრინციპთა განმტკიცების ნათელი დადასტურებაა მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნები, რომლის შედეგები დამაჯერებლად მოწმობენ კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი ბლოკის ბრწყინვალე გამარჯვებას, პარტიისა და ხალხის მონოლითურ ერთიანობას.

სოციალისტური კანონიერების და სოციალისტური მართლწესრიგის განმტკიცების უდიდესი მნიშვნელობა აქვს კომუნისტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, საზოგადოებრივ ურთიერთობათა შემდგომი გაუმჯობესებისა და მშრომელთა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის საქმეში. რესპუბლიკაში ამ მიმართულებით გაწეულია ნაყოფიერი მუშაობა. — შემოქმედებულია და სამოქმედოდაა შემოღებული მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო, რაიონული, საქალაქო და ჯანმრთელობის დაცვის კანონები, სისხლის სამართლის, საკრებულო და საოჯახო, შრომა-გასწორების, მიწის კოდექსები და სხვა საკანონმდებლო აქტები. გაუჯობესდა რესპუბლიკის სამინისტროების უწყებებისა და ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობა საკანონმდებლო აქტების შემოქმედებისა და შესრულებისათვის.

მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო, რაიონული და საქალაქო საბჭოების შესახებ კანონების შესაბამისად, ადგილობრივი საბჭოები, მათი აღმასკომები და მუდმივი კომისიები თავიანთ საქმიანობაში ფართოდ იყენებენ საბჭოთა დემოკრატიის პრინციპებს, მეტ ყურადღებას უთმობენ საზოგადოების აქტიურ მონაწილეობას სოციალისტური კანონიერების და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებაში.

ამასთან ერთად მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებს სერიოზული ნაკლოვანებანი გააჩნიათ სოციალისტური კანონიერების დაცვის საქმეში.

მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოები, სამინისტროები და უწყებები, სასამართლოს, პროკურატურის, იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების ორგანოები ჯერ კიდევ მთლიანად ვერ ასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას — უზრუნველყონ საბჭოთა კავშირის, საქართველოს სსრ კანონების და რესპუბლიკის სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მიერ მიღებული აქტების დაცვა.

სწორედ ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ უკანასკნელ წლებში სახელმწიფო და სამეურნეო აპარატის ბევრ რგოლში ადგილი ჰქონდა სახელმწიფო და შრომის დისციპლინის სერიოზულ დარღვევებს, სახსრებისა და მატერიალურ ფასეულობათა გაფლანგვისა და დატაცების შემთხვევებს, მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური რესურსებისადმი უყაირათო დამოკიდებულების თვალებს, შრომის ნაყოფიერების შემცირებას, რამაც განაპირობა საწარმოო მაჩვენებლების გაფარსება მრეწველობის, სოფლის მეურნეობის და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში.

მნიშვნელოვანი შეცდომები და ბოროტმოქმედებანი გამოვლენილა მიწათსარგებლობის საქმეში. დადგენილია, რომ მარტო უკანასკნელი 10 წლის მანძილზე რესპუბლიკაში 31 ათასი ჰექტარით შემცირდა სახნავ-სთესლი მიწის ფართობი; ამავე პერიოდში არასასოფლოსამეურნეო საჭიროებისათვის სხვადასხვა ორგანიზაციებს გადაეცა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კუთვნილი 72,7 ათასი ჰექტარი, მათ შორის 12 ათასი ჰექტარი სახნავი მიწა. ცალკეული სამინისტროები, უწყებები და საწარმოები არღვევენ მიწის მოქმედ კანონმდებლობას, არ ასრულებენ თავიანთ მოვალეობას დროებით სარგებლობაში გადაცემული ნაკვეთების გვარგისიანების და ფუძემიწათმოსარგებლეებისათვის მათი დაბრუნების შესახებ.

მიწის გამოყენებისა და გამოაყოფის საქმეში უპასუხისმგებლობას ჩენს ავრეთვე ზოგიერთი კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა. ისინი ხშირად თვითონვე ანაოვებენ სასოფლო-სამეურნეო მიწებს, რომლებსაც უკანონოდ არიგებენ საკარმიდამო ნაკვეთებად ან ავარიებისათვის (ბაგრა, ბიჭვინთა, სოხუმი, ურეკი, ქობულეთი, მცხეთა, ხაშური, თელავი და სხვ.).

საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე მრსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გარემოს, პირველ რიგში პაერისა და წყლის უეზების დაცვას.

მიუხედავად ამისა, რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს ტყეების უკანონოდ ჭრასა და დაზიანებას. გაუწმენდავი სამრეწველო და ფეკალური ჩამონადენით მდინარეების, ტბების, წყალსაცავების გაბინძურება.

ადგილობრივი საბჭოების ბევრი აღმასრულებელი კომიტეტი, სამინისტრო და უწყება, სასამართლოს, პროკურატურის, იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების ორგანოები ჯერ კიდევ არასაკმაოდ მუშაობენ კანონების ზუსტად და განუხრელად შესრულებისათვის, არ ეწევიან ქმედით ბრძოლას კანონის ყოველი დარღვევისა და თვითნებობა დამრღვევის წინააღმდეგ, ამ საქმეში ნაკლებად იზიდავენ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ფართო საზოგადოებრიობას.

არ არის აღმოფხვრილი კანონსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებათა და განკარგულებათა მიღების შემთხვევები. მარტო 1972 წელს პროკურატურის ორგანოებმა გამოაკლასეს და გააპროტესტეს ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და საწარმოთა მიერ მიღებული 500-ზე მეტი კანონსაწინააღმდეგო აქტი.

სამინისტროებს, უწყებებსა და ადგილობრივ საბჭოებს არა აქვთ დაწესებული სათანადო კონტროლი ნაკლებისა და მოზარდების შრომის, პენსიების, ბუნების დაცვის, უსაფრთხოების ტექნიკისა და სხვა კანონების შესრულებისადმი.

ზოგიერთ ფაბრიკასა და ქარხანაში მუშა-მოსამსახურეებს სამუშაოდან ითხოვენ ან სხვა სამუშაოზე გადაჰყავთ შრომის კანონმდებლობის დარღვევით, საქარხნო-საფაბრიკო ან ადგილობრივ კომიტეტებთან შეთანხმების გარეშე, სათანადო სიმაღლეზე არ დგას სახელმწიფო და შრომის დისციპლინა.

სერიოზულ ნაკლოვანებებს, ზოგჯერ ბოროტმოქმედებასაც, ადგილი აქვს საცხოვრებელი ფართობის განაწილებისა და კოოპერატიული ბინათმშენებლობის საქმეში.

მშრომელთა მიღების, მათი წერილების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის ერთგვარი გაუფუჭებლობის მიუხედავად, კვლავ შეიმჩნევა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების, სამინისტროების, უწყებებისა და მათ დაქვემდებარებაში მყოფი წარმოება-დაწესებულებების ზერელე, ფორმალური და ბიუროკრატიული დამოკიდებულება მოქალაქეთა განცხადებებისა და საჩივრების დროულად განხილვისა და მათზე პასუხის გაცემისადმი.

რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში ბევრია სისხლის სამართალწარმოებათა — სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დატაცების, მექრთამეობის, სპეკულაციის, საზოგადოებრივად სასარგებლო შრომისთვის თავის არიდების, ხულიგნობის, ტრუდობის, ლოთობის და სხვა ბოროტმოქმედებათა შემთხვევები; მათ წინააღმდეგ ბრძოლა არ ხასიათდება სათანადო სიმძაფრითა და მიზანდასახულობით.

ადგილობრივი საბჭოებისა და ადმინისტრაციული ორგანოების უმრავლესობა ვერ იყენებს ყველა შესაძლებლობასა და საშუალებას სოციალისტური კანონიერების დაცვის უზრუნველყოფისათვის. ამ საქმეში ფართოდ არ არიან ჩაბმულნი დეპუტატები და მშრომელთა აქტივი. სათანადო ყურადღება არ ექცევა საბჭოების სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მუდმივი კომისიების, აღმასკომებთან არსებული ადმინისტრაციული, არასრულწლოვანთა და სამეთვალყურეო კომისიების საქმიანობას, სუსტად მუშაობენ მმხანაგური სასამართლოები, სახალხო რაზმეულები.

სოციალისტური კანონიერების დარღვევებს ხელს უწყობს ისიც, რომ სამინისტროები, უწყებები, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები, საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, რადიო, პრესა და ტელევიზია საჭირო ყურადღებას არ აქცევენ სამართლებრივ პროპაგანდას, ბევრ დაწესებულებასა და ორგანიზაციაში სათანადო სიმაღლეზე არ დგას იურიდიული სამსახური.

სოციალისტური კანონიერების უზრუნველყოფის საქმეში საბჭოებსა და სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, მინისტრთა საბჭომ, სამინისტროებმა და უწყებებმა, მშრომელთა დეპუტატების საბჭოებმა პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, მთელს თავიანთ საქმიანობაში სრულად და თანმიმდევრულად განახორციელონ საბჭოთა დემოკრატიის პრინციპები, განუხრელად დაიცვან მოქმედი კანონმდებლობა, სრულად გამოიყენონ მათთვის კანონით მინიჭებული უფლებები, დასაბამ და გადაარონ კონკრეტული ღონისძიებანი კანონიერების დაცვის უზრუნველსაყოფად საბჭოების და სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა ყველა რგოლში.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ სამინისტროებს, უწყებებს, მშრომელთა დეპუტატების სოფლის, საქალაქო და რაიონულ საბჭოებს:

ა) სისტემატურად შეისწავლონ და განიხილონ რაიონებში, ქალაქებში, საწარმოებსა, დაწესებულებებსა, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სოციალისტური კანონიერების განხორციელების მდგომარეობა და მიიღონ გადაჭრილი ზომები ამ საქმეში არსებული ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

ბ) სოციალისტური მართლწესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლაში ფართოდ ჩაებან დეპუტატები, საზოგადოებრიობა; აამაღლონ საბჭოების მუდმივი კომისიების როლი კანონიერების დაცვის საქმეში. უფრო ფართოდ გამოიყენონ სახალხო კონტროლის საგუშაგოები და ჯგუფები საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში;

გ) მკაცრი კონტროლი დააწესონ შშენებლობის, კოლექტიური მებაღეობის და სხვა დანიშნულებით მიწის გამოყოფაზე.

უზრუნველყონ, რომ საწარმოებმა, ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა გაავარგისიანონ და შესაბამის მეურნეობებს დაუბრუნონ მათთვის დროებით სარგებლობაში მიცემული სასოფლო-სამეურნეო მიწა.

აამაღლონ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა ზანელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების პასუხისმგებლობა მიწათსარგებლობის კანონმდებლობის დაცვის საქმეში;

დ) მიიღონ ქმედითი ზომები ბუნების დაცვისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების გასაუმჯობესებლად, ჰაერისა და წყლის აუზების სამრეწველო ნარჩენებით გაბინძურების აღსაკვეთად. ამასთან გააძლიერონ ბრძოლა ტყის უნებართვოდ ჭრის, ბრაკონიერებისა და ნადირობის წესების სხვა დარღვევათა წინააღმდეგ;

ე) არ დაუშვან ისეთი გადაწყვეტილებების, განკარგულებების, ბრძანებებისა თუ სხვა აქტების მიღება, რომლებიც არ შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. ეფექტურად ხელი შეუწყონ ბრალდება პროკურატურის ორგანოების წარდგენებზე კანონსაწინააღმდეგო აქტების გაუქმების შესახებ;

ვ) უზრუნველყონ სამრეწველო საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შრომის დისციპლინის განმტკიცება, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების დაცვა, ნედლეულისა და მასალების მოგროვებისთვის ხელჯა, შრომის კანონმდებლობის დაცვა, უსაფრთხოების ტექნიკის მოთხოვნათა შესრულება;

ზ) მეტი ყურადღება მიაქციონ წერილების, განცხადებებისა და საჩივრების დადგენილ ვადებში განხილვას, განცხადებებში აღძრულ კანონიერ მოთხოვნათა დროულად დაკმაყოფილებას, მოქალაქეებისათვის ამომწურავი პასუხის გაცემას; გააუმჯობესონ მშრომელთა მიღების ორგანიზაცია;

თ) ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად, მშრომელთა ფართო მასების აქტიური მონაწილეობით, გააძლიერონ ბრძოლა კაპიტალიზმის გადმონაშთების ლიკვიდაციისათვის ადამიანთა შეგნებაში, მომხვეჭელობისა და წვრილბურჟუაზიული ტენდენციების აღმოსაფხვრელად. სოციალისტური საკუთრების მტაცებლების, მექრთამეების, სპეკულანტების, ხულიგნების, მუქთახორებისა და სხვა პარაზიტული ელემენტების წინააღმდეგ შეურიგებლობა, შეუწყნარებლობის ატმოსფეროს შესაქმნელად, სწორი წესრიგი დამყარონ საცხოვრებელი ბინების განაწილებასა და კოოპერატიულ ბინათმშენებლობაში;

ი) სისტემატურად იზრუნონ საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელების, მუშა-მოსამსახურეთა სამართლებრივი მომზადების დონის ამაღლებისათვის. ამასთან პრესის, რადიოს, ტელევიზიის, ლექციების და მოხსენებების სამუალებით მეტი მუშაობა გასწიონ მოსახლეობაში. სამართლებრივი საკითხების, ცალკეული კანონებისა და ნორმატიული აქტების განმარტებისათვის.

3) საქართველოს სსრ პროკურატურამ გააძლიეროს ზედამხედველობა სამინისტროებისა და უწყებების, საწარმოებისა და დაწესებულებების, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, აგრეთვე თანამდებობის პირთა და მოქალაქეთა მიერ სოციალისტური კანონიერების დაცვაზე.

4. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტროებმა, უმაღლესმა სასამართლომ და პროკურატურამ უზრუნველყონ მათდამი დაქვემდებარებული ორგანოების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესება და სრულყოფა; დანაშაულებრივ ქმედითობათა აღსაკვეთად უკეთ გამოიყენონ ზემოქმედებისა და პროფილაქტიკური საშუალებები.

• • •

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოებისა და მათი აღმასკომების, სახელმწიფო მმართველობის ორგანოების, მთელი ჩვენი საზოგადოებრიობის წინაშე დგას კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების დიდი და საპასუხისმგებლო ამოცანა. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭო რწმენას გამოთქვამს, რომ რესპუბლიკის მშრომელები, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, ყველაფერს გააკეთებენ, რათა წარმატებით განახორციელონ ეს დიდი სახელმწიფოებრივი საქმე, რაც ხელს შეუწყობს პარტიის XXIV კრების გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ამოცანების წარმატებით გადაჭრას, მეცხრე ხუთწლედის მესამე წლის გეგმისა და ნაკისრ ვალდებულებათა გადაჭარბებით შესრულების მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. ეს იქნება ჩვენი წვლილი იმ დიდ საქმიანობაში, რომელსაც ეწევიან სკკპ ცენტრალური კომიტეტი და პირადად ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი ლენინური საგარეო პოლიტიკის განხორციელებისა და მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის.

ხაქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაპაძე

ხაქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაპაძე

თბილისი, 1973 წლის 28 ივნისი

კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

„1000 ვოლტამდე ძაბვის ელექტროქსელების დაზიანებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 29 მაისის ბრძანებულება — „1000 ვოლტამდე ძაბვის ელექტროსადენების დაზიანებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაპაძე

თბილისი, 1973 წლის 28 ივნისი.

კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

„რაიონული დაქვემდებარების ქალაქ გაგრის რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქად გარდაქმნისა და გაგრის რაიონის გაუქმების შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცებისა და საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 89-ე და 108-ე მუხლებში ცვლილებათა შეტანის თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 5 აპრილის ბრძანებულება — „რაიონული დაქვემდებარების ქალაქ გაგრის რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქად გარდაქმნისა და გაგრის რაიონის გაუქმების შესახებ".

ამასთან დაკავშირებით შეტანილ იქნეს სათანადო ცვლილებები საქართველოს სსრ კონსტიტუციის მე-20 და 108-ე მუხლებში:

მე-20 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 20. აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შედგება: გალის, გუდაუთის, გულრიფშის, ოჩამჩირის, სოხუმის რაიონებისაგან და ქალაქების სოხუმის, გაგრისა და ტყვარჩელისაგან, რომელიც რაიონების შემადგენლობაში არ შედიან";

108-ე მუხლს სიტყვის „სოხუმისა" შემდეგ დაემატოს სიტყვა „გაგრის".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაპაძე

თბილისი, 1973 წლის 28 ივნისი.

კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

„საქართველოს სსრ კანონი „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების საბიუჯეტო უფლებების შესახებ" ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 15 დეკემბრის ბრძანებულება — „საქართველოს სსრ კანონში „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკებისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების საბიუჯეტო უფლებების შესახებ" ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაპაძე

თბილისი, 1973 წლის 28 ივნისი.

კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

„საავტომობილო გზების მუეურნეობასა და რემონტიან კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაბმის წესის, ვადებისა და ფორმების, აგრეთვე საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 29 დეკემბრის ბრძანებულება — „საავტომობილო გზების მეურნეობასა და რემონტში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაბმის წესის, ვადებისა და ფორმების, აგრეთვე საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 29 დეკემბრის ბრძანებულება — „საავტომობილო გზების მეურნეობასა და რემონტში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაბმის წესის, ვადებისა და ფორმების, აგრეთვე საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაპაძე

თბილისი, 1973 წლის 28 ივნისი.

კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

ამხანაგური სასამართლოების, საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის და საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულებებში ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების თაობაზე

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები:

1973 წლის 24 აპრილისა — „საქართველოს სსრ სახელმწიფო ნოტარიატის დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ";

1973 წლის 24 აპრილისა — „ამხანაგური სასამართლოების დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ";

1973 წლის 29 მაისისა — „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების დებულებაში ცვლილებათა შეტანის შესახებ".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაპაძე

თბილისი, 1973 წლის 28 ივნისი.

კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

„ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 14 სექტემბრის ბრძანებულებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 26 ივნისის ბრძანებულება — „ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 14 სექტემბრის ბრძანებულებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაპაძე

თბილისი, 1973 წლის 28 ივნისი.

კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

„ნარკომანიებისა და გამოუსწორებელი ლოთების (ალკოკოლიკების) იძულებითი მკურნალობისა და შრომითი აღზრდა-გარდაქმნის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 18 დეკემბრის ბრძანებულებაში ცვლილებათა შეტანის თაობაზე" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 26 ივნისის ბრძანებულება — „ნარკომანიებისა და გამოუსწორებელი ლოთების (ალკოკოლიკების) იძულებითი მკურნალობისა და შრომითი აღზრდა-გარდაქმნის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1965 წლის 18 დეკემბრის ბრძანებულებაში ცვლილებათა შეტანის თაობაზე".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
გ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
ზ. კვაპაძე

თბილისი, 1973 წლის 28 ივნისი.

კანონი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა

საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსის დამტკიცების შესახებ

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. **დამტკიცდეს საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსი და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს 1973 წლის 1 ოქტომბრიდან.**

